

140 / 3
1956

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი




ქ. რ. ნ. ე. გ. ი.

№ 2
თავისკვამი
1956

ორ ზღვას შუა ძველისძველი
საომარი იყო ლელო —
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო.

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ.
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

გელაჯიონ ვაბიძე





ქ ი თ ნ ე რ ი


№ 2

თებერვალი, 1956 წ.

წელიწადი XXX

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
შოველთვიური საბავშვო მუხრანალი

6943



ალკა მუხრანალი

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

თებერვალი დადგა,
ხეში წყალი ჩაღდა...
გამოდეთ კარი,
გაზაფხული არის!
გზა მიეცით მზეს!


მიძინებულ ველებს
ურუანტელი უვლის.
ჩქარა დაიმღერებს, —
გაცოცხლდება ხნული!
გზა მიეცით მზეს!

გაუმარჯოს კვირტებს,
გაზაფხულის კვირტებს,
ხეს რომ ყვავილებს
ხანძარს წაუკიდებს!
გაუმარჯოს მზეს!

თებერვალი ბრწყინავს,
გაზაფხული ბრწყინავს,
მან ოქტომბრის დროშა
გულზე დაგვაფინა, —
გაუმარჯოს მას!

გაზაფხული მღერის,
მოიღერა ყელი;
სიმღერების ჩქერებს
აფრქვევს მთებს და ველებს, —
გზა მიეცით მას!

საქართველოს
დაბადების დღეს, —
გაუმარჯოს
გაზაფხულს და მზეს!





ივანე უჩუაშვილი

ნახ. გ. თოთბაძის

ერთ ზაფხულს*

5. კოლმეურნეობის თამგჯდომარე

გოგია აივანე პირს იბანდა. უცბად სტვენა შემოესმა. ფაციფუტით მოიწმინდა თვალბზე საბონი და გზაზე გაჩერებული დათუა დაინახა; ხელით ანიშნებდა, გარეთ გამოდი, შენთან საქმე მაქვსო.

გოგიამ ხელ-პირი ხალათით შეიმშრალა, ჩაირბინა კიბე და გზაზე გავიდა.

— სად აივანე, სად დაიკარგე? — მისვლისთანავე შეეკითხა გოგია.

— გუშინ პაპას ბალის ბარეაში ვეხმარებოდი, დღესაც იქ მივდივარ.

— ნეტავი შენ! მოგიცლია! რის ბარეა, რა ბარეა! ხომ ხელად რა მზიანი დღეა, მოდი სათევზაოდ წავილდე, პაპას რაიმე მიუკიბ-მოუკიბე და გამოეპარე.

— შენ არ იცნობ ჯერ პაპაჩემს და იმიტომ ლაპარაკობ ასე. გუშინ დილით წელის ტკივილი მოვიმიზეზე. პაპამ აღმაცერად მიცქირა, მიცქირა და ჩაახველა, — ახლავე მოგარჩენო. გადამხალა საბანო, ამიწია პერანგი, წელზე ორნახალი არაყი წამისვა და ისე ღონივრად დამიწყოა ზელა, რომ ნეკნებმა სულ ლაწა-ლუწი დამიწყეს. ბევრი ვითმინე, მაგრამ პაპა ისე ღონივრად მზელავდა, მოთმინების ფილა ამეცსო და წამოვიძახე: ემარა, პაპა, წელის ტკივილმა გადამიარა-მეთქი. რაღა უნდა მექნა. გავეყვი პაპას ბაღში წუწუნით, ჯერ პატარა ვარ

და რა დროს ჩემი ბარეა-მეთქი. პაპას ჩემი სიტყვები სასაცილოდ არ ეყო, მე ათი წლის ბიჭი ვიყავი, მოჯამაგიროდ რომ გამამწყესსო. შენ კი ვაქაცი ხარ და, ეგ არის, თუ ამ თავითვე არ შევიჩვიე საქმეს, მერე ძალიან გაგიძნელებდა მუშაობაო. აი, ასეთია პაპაჩემი, გაიგე? მითხარი აბა, რაღა მოვისაბაბო! დღეს, როგორც იქნება, ბალის ბარეას მოვრჩებით, ხვალ კი ტყეში უნდა წავიდე, მინდა ქორის ჯავრი ამოვიყარო. ჰო, მართლა ხომ არ გადაიფიქრე, ტყეში წამოხვალ?

— გეტყობა კარგად არ მიცნობ, ჩემი სიტყვა სიტყვა და არა ჰაერში გაშვებული საპანის ბუშტი.

— მაშ, იცი რას გეტყვი, მოდი ბაღში შენც წამოდი და ბარეაში წამოგვეშველე. ცოტალა დაგვრჩა დასაბარი. შუადღემდე იმეღია მოვრჩებით და მერე, ჰერი ბიჭო, საითაც გინდა იქით გავეწით.

— რატომაც არა, წამოვალ.

მეგობრებმა კოლმეურნეობის ხილის ბაღს რომ გვერდი ჩაუარეს, დიდი კაკლის ხესთან დათუამ გოგიას მკლავში ხელი ჩაავლო და აღტაცებით წამოიძახა:

— არის, არის!

— რა იყო, რა არის? — იკითხა გაკვირვებით გოგიამ.

— აბა, თუ ბიჭი ხარ, გამოიცანი?

გოგიამ კაკალზე აიხედა და კენწეროზე ყვავის ბუდე შენიშნა.

* გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1.

— დიდი გამოცნობა კი უნდა, შენმა მზემ, ყვავის ბუდეა ბახსლებით.

— განა არა, როცა ამ კაკლის ქვეშ გავივლიდი, რალაც უტყუარ სუნს ვგრძნობდი. ვიძახდი, ნეტავ, რა უნდა იყოს-მეთქი. აი, თურმე რა ყოფილა! — ამბობდა დათუა და თან ფეხთ იხლიდა.

დათუამ ფეხსაცმელები გოგას დაუტოვა, გადახტა მაღალ ლობეზე და კაკალზე აცვიცდა. შუამდევ არ იყო ასული, რომ კაკლისაქენ მომავალი თავმჯდომარე დაინახა.

„ვაი დედა, ეს რა დღეში ჩავვარდი, თავმჯდომარე აქეთ მოდის. ამაზე იტყვიან უბედო კაცს ქვა აღმართში მიეწევაო... ქათამივით კაკალზე ვარ მომწყვდეული და ველარაფერი მიშეველის“. — გაითიქრა დათუამ და მუშტისოღენდ მოკუნტული მსხვილი ტოტის ამოეფარა.

თავმჯდომარე კაკალთან შეჩერდა და მაღლა აიხედა.

— დათუა, გესმის, დათუა! ამ ქარში კაკალზე რამ ავიყვანა?!

დათუა კაკლიდან ჩამოვიდა.

— კაკლის მოკრეფა ჯერ ადრეა, ჭყინტია და არ იკროლებს. — უთხრა თავმჯდომარემ დათუას, რომელიც მის წინ თავჩალუნული იდგა.

— იცით, პატივცემული თავმჯდომარე, — წაიბუტბუტა დათუემ და ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს თავის ნათქვამს წერტილი დასუფავა, დათუა: — დაიხ, პატივცემული თავმჯდომარე... თავმჯდომარეს გავლიმა. ღომილის დასაფარავად ულვამეზე ხელი გადაისვა.

— შენი ნათქვამიდან ვერაფერი გავიგე. რა ენა გებმეა, მიპასუხე, ხეზე რამ ავიყვანა?

— იცით, პატივცემული თავმჯდომარე, ხეზე ავედი...

დიდხანს ეძება სიტყვა და მხოლოდ ამის თქმა მოახერხა: — და თქვენც დაინახეთ ხიდან როგორ ჩამოვსრიალდი. დაიხ, პატივცემული თავმჯდომარე.

— როცა შენი ტოლი ვიყავ, ხეზე ასვლა მეც ძალიან მიყვარდა.

— დაიხ, პატივცემული თავმჯდომარე, — თქვა გამოცოცხლებით დათუამ.

— ჩემს პატარა ბიჭობაში, ჩემზე უკეთ არავინ იცოდა რომელ ხეზე, რომელ ფრინველს ჰქონდა ბუდე, რომელ ბუდეში რამდენ ბარტყი იჯდა, სად იყო მდინარეზე კარგი მორევი, რომელ დარანში უფრო ხვდებოდა თევზი.

— ამეგბუმი მეც ვერავინ შემედრება, — თქვა გახარებულმა დათუამ, — ახლაც კაკალზე იმითმ ავდიოდი, რომ მიწოდდა ყვავისათვის ბუდე ჩამომეშალა.

— ასე გეტყვა, შე ეშმაკო, ამაზე მადლობის მეტი რა გვეთქმის. შენ ნამდვილად ნადირობაც გეყვარება?!

— როგორ არა, მიყვარს. — დათუამ უბიძან შურდული ამოიღო და თავმჯდომარეს უჩვენა. — აი, ამ შურდულით 12 ყვავი და 15 კაჭკაჭი მყავს მოკლული.

— რაღაც ასეთი კარგი მონადირე ყოფილხარ,

როდისმე ერთად წავიდეთ სანადიროდ. ვნახავთ ვინ უფრო მეტ კურდღელს მოკლავს. სანადირო თითო თუ გვერია ხელში?

— როგორ არა, ხან პაპა წამიყვანს ხოლმე ტყეში და თოვს მასროლინებს; ხანაც, როცა ღამის მორიგობიდან დაბრუნებულ პაპას სძინავს, თოვს მაღულად გამომაქვს და ახლომახლო ბაღებში ყვავეებზე ვნადირობ. ვთხოვო, ამის შესახებ პაპაჩემს არაფერი უთხრათ, თორემ ძალიან ეწყინება.

— დარდი ნუ გაქვს. მე პაპაშენს არაფერს ვეტყვი. მაგრამ ეს მინდა გირჩიო, აბა ერთი როდისმე სთხოვე, იქნებ პაპამ თვითონვე გათხოვოს თოვო.

— ვაითუ არ მათხოვოს?!

— შენ შენი სცადე, იქნებ გათხოვოს. მაშ, ასე, დღის შემდეგ მეგობრები ვართ და აღარ უნდა მომეჩიროს.

— არა, აღარ მოგერილებით.

თავმჯდომარემ დათუას გამოჰკითხა, ახლა სად აპირებ წაქვლასო. დათუამ უთხრა სადაც მიდიოდა. თავმჯდომარე კმაყოფილი დარჩა, რომ დათუა პაპას ბაღის ბარგაში ეხმარებოდა, გამოეშვიდობა და ღობის გვერდით გამავალ ბილიც გაჰყვა.

დათუა სწრაფად ახტა ლობეზე და კინალამ ზედ თავზე დაახტა გოგას, რომელიც ღობის ძირას მიკუნტულიყო და ყურდაცმეტილი უსმენდა მათ საუბარს.

— წავიდეთ! — უთხრა დათუამ.

— რა არის, ხომ არ გაიჯავრდა. — შეეკითხა გოგია და ამხანაგს გვერდში ამოუდგა.

— გამიჯავრდა არა, ვადამიჯავრდა! რა კეთილი კაცი ყოფილა, შემპირდა სანადიროდ წავიყვანო. ნათელას მადლობელიც ვარ. გავიგე თუ არა, რომ იგი თავმჯდომარის შვილია, უმალ ის გავიფიქრე, ნათელა მამასთან ჩემს ნალაპარაკებს წისქვილივით დაფქვავს-მეთქი. თავმჯდომარე რომ მესალმებოდა, სულ გული მიკანკალებდა, მეგონა ან ახლა ჩამომიდგებს ლაპარაკს წიგნის დაწერაზე, ან ახლა-მეთქი. თავმჯდომარემ კი, ეტყობა, ამის შესახებ არაფერი იცის. ჰო, მართლა, დღეს ბარვას რომ მოვჩჩებთ, პაპას თოვო უნდა ვთხოვო, თავმჯდომარემ ასე მიჩჩია.

6. პ ა პ ა მ ი ხ რ

ნახევარმთვარისავით მორკალულ პაპა მიხოს — ასე ეძახდნენ დათუას პაპას — თმა და წვერ-ულვაგაში თოვლივით თეთრი ჰქონდა. იგი ნამდვილი შვილი იყო მიწისა. იმაზე ძალიან არაფერი წსყინდა, როცა იმ საქმეს, რასაც მთელი ჯანი და ღონე შეალო, ვინმე პატივს არ სცემდა. გოგას, პაპა მიხო, ბრახინი კაცი ეგონა, მაგრამ საკმარისი იყო მოხუცი ბავშვები დალაპარაკებოდა, რომ გოგას აზრი უმალ შეეცვალა. იგი ძალიან კეთილი გამოდგა. ბავშვებს ბაღის ბოლიდან ბარევი ამოუტანა და მხარში ამოიყვანა.

— ჩემი ბიჭებო, ჩემო ვაჟაყვებო! — ეუბნებოდა მოხუცი ბავშვებს და ღონიერად ურტყამდა ბარს მიწაში, — მიწა ჩვენი მასაზრდოებელი, ჩვენი ბედნიერების უშრეტი წყარო. ვინ იცის რამ-



— მიწა ჩენი მასწარლებელი, ჩენი ბედნიერების უმრტი წყარო, — ეუბნებოდა მოხუცი ბავშვებს.

დენი წელია მიწა ერთგულად გვემსახურება, მაგრამ იგი არც დაღლილა, არც გაცვეთილა, არც დაბერებულა. ეს იმიტომ რომა, მიწას როგორც დულაბს ისე ამაგრებს ჩენი შამების, პაპებისა და პაპისპაების თფლი, სისხლი და ძვლები. მაშ, არ უნდა უყვარდეს კაცს მიწა? არ უნდა უვლიდეს და პატრონობდეს?! ერიპა, ახლანდელი ახალგაზრდები კი მიწას გაურბიან, თონისა და ბარის ხელში აღებას არ კადრულობენ.

გოგიას არასოდეს უბარია და, რა თქმა უნდა, უჭირდა მუშაობა. ბარის პირს მიწაზე სდებდა, საწრეფულს რამდენჯერმე ურტყამდა ფეხს, მაგრამ ბარის პირი სანახევროდა ვერ ჩაჰყავდა მიწაში, თანაც ძალიან პატარა ბელტებს იღებდა. კვალი ნახევარ მეტრზეც არ ჰქონდა გატანილი, რომ ოფლში გაიწურა, სახსრები ეტკინა, მაგრამ მანინ ბარავდა და დაღლილობას არ იმჩნევდა.

პაპა მიხოს უფრო დიდი კვალი მიჰქონდა, ვიდრე ორივე ბიჭს ერთად, მაგრამ უმალ დაწინაურდა. დათუა თავაუღებელი მუშაობდა, მაგრამ მოხუცს მაინც ვერ მისდივდა. რაც შეეხება გოგიას, იგი დათუასაც ჩამორჩა.

— ერიპა, შვილო, ბარვა არა გცოდნია. — მიუბრუნდა პაპა მიხო გოგიას, რომელიც სირცხვილით იწვლია.

— ყველაფერი სწავლით არ არის? — მიუგო გოგიამ, — ვისწავლი და მაშინ კარგად დავბარავ.

— კარგია, შვილო, რომ ასე ლაპარაკობ, მაშ ბარვას მე გასწავლი.

პაპა მიხო გოგიასთან მივიდა.

— ბარვას რა სწავლა უნდა, მე თვითონ ვისწავლი. — ჩაილაპარაკა გოგიამ და ორივე ხელით

ტარს დაებლაუქა, ფეხს საწრეფულს თან ზედ ახტებოდა.

— შვილო, ბარვა იოლი საქმე როდია. მასაც სწავლა უნდა. აბა, მიუყურე.

პაპა მიხომ ბარი მოიმარჯვა, დაადო საწრეფულს ფეხი და ბარი ფეხთან ერთად სწრაფად ასწია მალა, უტბად ღრმად ჩასვა მიწაში და ექებერთელა ბელტი ამოატრიალა.

ბარის ტარზე დაყრდნობილი გოგია ფეხებში მისიხერებოდა მოხუცს, რომელიც სწრაფად ბარავდა.

— აი, ასე უნდა, შვილო, ბარვა, — ეუბნებოდა პაპა მიხო გოგიას, — რა განზე დამდგარხარ, მოლი, მხარში ამომიდექი.

გოგია მორიდებით ამოუდგა პაპა მიხოს მხარში და შეეცადა მასვეთ ბარვას, მაგრამ ეს არც ისე იოლი გამოდგა, როგორც პირველად ეჩვენა.

— აბა, ერთი ტარზე ხელები ასე მოჰკიდე; — უთხრა მოხუცმა და უჩვენა, თუ როგორ დაეჭირა ბარი ხელში, — ახლა საწრეფულს დაადე მარჯვენა ფეხის გული. დაადე ხომ? ახლა კი ფეხი ბართან ერთად მადლა ასწიე და ღონიერად დასცხი მიწას.

ბარის პირი მსუბუქად ჩასრიალდა მიწაში. ბელტის ამოღებაც ბევრად გაუადვილდა, რადგან ბარი ახლა უფრო მარჯვედ ეჭირა, ამოდებული ბელტეც ორჯერ დიდი იყო, ვიდრე ადრე იღებდა.

— რას იტყვი, შვილო, ასე ბარვა ხომ უფრო ადვილია? — იკითხა მოხუცმა.

— ადვილიცაა და სახალისოც, — მიუგო გოგიამ.

დათუა შეუსვენებელი ბარავდა და ოფლში გაიწურა. სიტხმ რომ მეტსმეტად შეაწულა, ხალათი გაიხადა. მას უფრო განიერი გულ-მკერდი და მკლავები ჰქონდა, ვიდრე ხალათში უჩანდა.

გოგიამაც გაიხადა ხალათი და ბუჩქებზე იმნინად გადისროლა, თითქოს ხალათის ბრალი ყოფილიყო, პაპა მიხოს და დათუას ბარვაში რომ ვერ მისდივდა.

ბარავდა გოგია და ხან დათუას უქეპროდა კუნთმაგარ მკლავებზე, ხან თავის მკლავებს დასქეპროდა, თან სულ იმას ცდილობდა მასაც დათუასავით ლამაზად დასქეპროდა კუნთები.

— შუადლე ვადასული იყო, ბარვას რომ მორჩნენ.

— ახლა კი, ბიჭებო, თქვენზე ალალია, წადთ საბანოზე და იქუეშპალავეთ. — უთხრა პაპა მიხომ ბავშვებს.

— პაპა, ერთი რამ მაქვს სათხოვარი. — მორიდებით მიმართა დათუამ.

— მითხარი, შვილო, შენ ისეთი ყოჩაღი ბიჭი ხარ, რაც არ უნდა მთხოვო ყველაფერს აგისრულებ.

— პაპა, ფრთადაცხვებულ ქორზე სანადიროდ გვინდა წავითეთ მე და ჩემი ამხანაგი და სანადირო თოფი ვაფთხოვ.

— გათხოვებთ, რატომაც არა. ოღონდ ფრთხილად იხმარეთ, ცული არა მოიწიოთ! თანაც ყოჩაღად იყავით, არ შემარცხვინოთ!

გახარებულმა ბავშვებმა ხალათებს წამოავლეს ხელი და საბანოდ გაიქცნენ მდინარეზე.

7. ტყეში

გათენდა ნანატრი დილა. ირეკრავა თუ არა, გოგია ლოგინიდან წამოხტა და ტანთ ჩაიცვა.

სახლიდან მთელი დღით წასვლა მისთვის სულაც არ იყო ძნელი. ბებიას უთხრა დღეს სოფლის ბიჭები მდინარეზე მივდივართ სათევზაოდ. ბებია, რასაკვირველია, მოყვა გულისგამაწვრილებელ წუწუნს: ან ან გაცივდე, ან გველმა არ გიგებინოს, ან ფეხში არაფერი შეგერჭოს. მაგრამ გოგია ყურს არ უგდებდა, ზურგჩანთაში ჩაალაგა პური, ყველი, მოხარშული ხორცის ნაჭრები; ჩანთა ზურგზე მოიკიდა, პაპის ნაქონ კომბალს წამოავლო ხელი და დათქმული ადგილისაკენ გასწავა.

ახლად ამოსული მზე ისე სასიამოვნოდ ანათებდა, ისე ლამაზად მოჩანდა მზის სხივებით გაბრწყინებული ტყე, მინდვრები, ბალ-ვეჩანები, თან ისე ტკბილად უსტვენდნენ ოქროსფერ სხივებში გახვეული ტროლები, რომ გოგიამ სიძლერა წამოიწყა.

დათუა კაკალქვეშ წინ და უკან დადიოდა.

დათუა — დათუას აღარ გავიდა, ტანსაცმელი ისევე გუშინდელი ეცვა, მაგრამ მთლად იარაღში იყო ჩაშვებული.

მხარზე ცალკულიანი სანადირო თოფი ეკიდა, წელზე ფართო „პატრონტაში“ შემოერთყა, ერთ მხარეს ხანჯალი ეკიდა, მეორე მხარეს — ჩანთა. თავზე დიდი ფაფახი ჩამოეფხატა რაც, სიმაართლე რომ ითქვას, ძალიან უხდებოდა, თანაც ნამდვილი მონადირის შეხედულებას აძლევდა.

— აბა, შევიდეთ, — თქვა დათუამ.

ორასი მეტრიც არ ექნებოდათ გავლილი, რომ სოფლის მხრიდან ზაქროს ძახილი გაისმა: ბიჭებო, მოიციტო.

სახტად დარჩენილი გოგია და დათუა შეჩერდნენ, ისინი ხან ერთმანეთს უტყეერდნენ, ხან მათკენ სირბილით მომავალ ზაქროს, რომელსაც წითელი ფერის სათხილამურო შარვალ-ხალათი ეცვა და თავზე ფართეარიანი ჩალის ქული ეხურა.

— საით გასწიეთ? — მისვლისთანავე იკითხა ზაქრომ.

— აქეთ! — ხელით უჩვენა დათუამ ტყისაკენ. არც დათუა და გოგია მიდიოდნენ, ფეხს არც ზაქრო იცვლიდა.

როცა ერთ ადგილას დგომა შეუძლებელი გახდა, დათუამ ზაქროს ფაფახი მოუხადა, მშვიდობითო, და წასვლა დააპირა. ზაქრო დათუას გვერდში ამოუხდგა და წაილაპარაკა:

— მეც მოვდივარ.

—სად მოდიხარ? — ჰკითხა განცვიფრებულმა დათუამ. ჩვენ ტყეში მივდივართ, შენ კი იქ რა საქმე გაქვს?

— როგორ თუ რა საქმე მაქვს?! — გაიკვირვა ზაქრომ, — ქორზე სანადიროდ მოვდივარ.

— კარგი, რადგან შენსას არ იშლი, წამოდი.

ჯერ საურმე გზით მიდიოდნენ. გზა თანდათან დავიწროვდა და მალე ბუჩქებით დაფარულ ფერ-ლონს მიაღწენენ.

ფერდობი რომ აათავეს, ისე მინდორზე გავედგარეთა. ნენ. მინდორის იქით წითლის ტყე იწყებოდა.

ტყეში იღუმელი სიჩუმე იდგა. ნიავე არ იძროდა. სიჩუმეს დამფრთხალი ფრინველები არღვევდნენ, რომლებიც ბავშვების მიახლოებისას დიდფრთხილებდნენ ხოლმე და ჰყვივლით თავზე გადაქროლებდნენ. ბავშვები ფრთხილად, ფეხაკრეფით მიაბიჯებდნენ. რაც უფრო მალა მიდიოდნენ, მით უფრო ხშირდებოდა ტყე. მალე ტყე ისე დაიბურა, მზის სხივები ვეღარ აღწევდა შიგ.


ბავშვების წინ მარწყვით მოფენილი პატარა მინდორი გადაიშალა. გოგიას ძალიან უყვარდა მარწყვი. მითუმეტეს ახლა, როცა სიარულით ისე იყო დალოლი, რომ მუხლი ეკეცებოდა, პირი კი სიცხისაგან ჰქონდა გამშრალი, მარწყვი მისთვის პირდაპირ მისწრება იყო. არც დათუა და ზაქრო იყვნენ მარწყვზე მწყურალად. მათაც ძალიან გაუხარდათ მარწყვის მიგნება.

სამიგენი გავიდნენ მინდორზე და დაიწყეს მარწყვის კმა.

უტბად მათი ყურადღება ფიჩხის მტვრევის ხმამ მიიპყრო. ყურბდაცქვეტილი იყურებოდნენ ტყისპირისაკენ — იქით, საიდანაც ხმა გაისმა. ბუჩქებსა და ფითლებს შუა ჯერ რქები დაინახეს... მალე გამოჩნდა ირემი, ლამაზი და ამაყი, თავზე გადაწყობილი მალაო რქებით.

ბავშვები გამტვრებული შესკვროდნენ ირემს, რომელიც ნელნელა უახლოვდებოდათ. ირემი მათ შორიახლო შედგა, მშვენივრად მოიღერა კისერი, ყურები დაცქვიტა და ბავშვებს შეხედა. ცოტა ხნის უტყირა, შემდეგ თითქოს შინაურაოდ, გვერდით ჩაუარა, მშვიდად შევიდა ტყეში და თვალს მიეფარა.

ბავშვებმა გზა განაგრძეს. თუმცა სდ იყო გზა! ნეტავ თუ როლისმე ამ ადგილებს აღამინის ფეხი მიჰკარებდა! ალაგ-ალაგ ფიჩხის მივები იყო ამარ-



მალე გამოჩნდა ირემი, ლამაზი და ამაყი.

თული, ზოგან მუხლებამდე სწვდებოდათ ქარისა-
გან მოგროვილი ხმელი ფოთლი, აქა-იქ ხვდებო-
დათ სიბერისაგან წაქცეული ხეები, რომლებზეც
ძლივს გადადიოდნენ.

ის იყო ერთ პატარა ველზე გავიდნენ, რომ ბავ-
შეები წინ მელა გადმოუხტა. შირბოდა მელა და
უქან ფეხდაფეხ მისდევდა გრძელი, აბზეცილი
კული.

დათუამ მხრიდან თოფი გადმოიღო, ჩახმახი
ფეხზე შეაყენა და... ივრიალა თოფმა.

მელა ბეჭებზე გადატრიალდა, მაგრამ უმალ წა-
მობტა და მოჰკურცხლა.

— მოხვდა, მოხვდა, — შესძახეს გახარებულმა
ბავშვებმა და უქან გამოუდგნენ.

ბევრი ირბინეს, თუ ცოტა, ინელია თქმა, რადგან
ამის გასაგებად მაშინ ვის ეცალა. ბავშვები კუნე-
ლის ბუჩქებს მიადგნენ. ერთი ბუჩქის ტოტი საექ-
ვოდ შეინძრა. ნამდვილად ამ ბუჩქში იმალება დაქ-
რილი მელა, აბა, გარს შემოვერტყათ, აქედან კი
ვერსად წავგვივო, — დაიძახა დათუამ და თოფი
მოიმარჯვა. გოგამ და ზაქრომ მსხვილ ჯოხებს
წამოავლეს ხელი და ბუჩქს აქეთ-იქიდან მოუარეს.
სამივე წაუჭული ეპარებოდა ბუჩქს ისე, რომ
ერთმანეთს ვერ ხედავდნენ.

უცებ ბუჩქი შეინძრა და იქიდან გამოხტა ნაც-
რისფერი კურდღელი, რომელიც გოგისაკენ გაიქ-
ცა. გოგამ უმალ ჯოხი მოუქნია. კურდღელმა
პირი იბრუნა და ზაქროს შიგ ფეხებში გაუჭვრა.

— მიშველეთ, მიშველეთ-ეთ, მელიამ ბარძაყი
გამომავლიჯა! — იყვირა ზაქრომ.

დათუა სწრაფად გამოვარდა ბუჩქებიდან; შემ-
კრთული აქეთ-იქით იცქირებოდა. გოგის ორი ხე-
ლით მუტელი ეჭირა და რაც ძალი და ღონე ჰქო-
ნდა იცინოდა. დათუას შეკითხვაზე, რა იყო, რა მოხ-
დაო, გოგამ თავზე ყურბეგადაწყობილი კურდღლე-



თურმე, ნუ იტყვით, მგელი კი არა, შარვალზე კვრინჩისი
ტოტი გამოხსობოდა და ის მისდევდა.

ლი დანახა, რომელიც ქარივით მიჰქროდა და
დათუა მიხვდა რაშიც იყო საქმე, გოგამე, ჩაქვდა
არც მან იცინა.

არ მოგიყვებით როგორ დამაშვიდეს ამხანაგებმა
ზაქრო, ის კი უნდა ვთქვათ, რომ შიშით გაყუ-
ლებული ზაქრო ისე იღიბებოდა, თითქმის თვითონ.
ვე უკვირდა თავისთავზე გადამხდარი ამბავი.

უცხად ტყეში ჩამობნულდა, რაც დათუამ მზის
ჩასვლით ახსნა. მაღე სიბნელე ჩამოწვა ირველზე
და ტყემ შემზარავი მეხდღელუბა მიიღო.

8. ლ ა მ ი თ

გაღწევიტეს დიდი მუხის ქვეშ გაეთენებინათ
ლაყე. ჩინჩგარი და ხმელი შეშა მოაგროვეს, მუხის
ძირას ცეცხლი გააჩაღეს და გარშემო შემოუსხ-
დნენ. ასწლოვანმა მუხამ თავისი მსხვილი ტოტები
ფართოდ გაშალა: ნურაფრისა გემინათ, ჩემ ქვეშ
შეგძილიათ მშვილად დაიძინათო. ბავშვებმა მოი-
ლაპარაკეს მთელი ღამე ცეცხლი არ ჩაქვროთ,
რადგან დათუა ამბობდა, ყველა ნადირს ცეცხლისა
ეშინიაო.

რიგრიგობით უნდა ემორიგათ ცეცხლის პირას.
შუალამემდ დათუა იფხიზლებდა, მერე—ზაქრო,
ხოლო უსულ ბოლოს — გოგია.

ახლომახლო ხმელი ბალახი გამოვლიჯეს და
მუხის ძირას გაშალეს. გოგამ და ზაქრომ თავქვეშ
თითო პატარა კუნძი დაიდეს და წამოწყნენ.

ძილში გოგისა ზაქროს ხმა შემოესმა: ადექი, სა-
ცაა გათენდება, ახლა შენი მორიგეობის ჯერიაო.

გოგია წამოდგა, თვალები მოიფშვინტა და
ცეცხლს მიუჯდა. ძილში შესცივნიდა და სითბო
ეამა.

ზაქრო მის ადგილზე დაწვა და უმალ ისეთი
ხერინვა ამოუშვა — იქაურობა გაყურათა.

გოგია მობუზული იჯდა და ერთთავად ცეცხლს
ჩასცქეროდა, რადგან, როგორც კი ცეცხლს თვალს
მოაცილებდა და სიბნელეს გახედავდა, ძალიან
უსიამოვნოდ გრძნობდა თავს. აყრიდა და აყრიდა
კოცონზე ფიჩხს. ბოლოს ხელში დიდი მუგუზალი
დაიჭირა და ჰაერში ატრიალებდა, რა არის მეტი
ნაბერწყლები გაეყარა მუგუზალს და დაეფრთხო
ის ცხოველები, რომლებიც, როგორც მას ეგონა,
ყოველი მხრიდან ეპარებოდნენ.

ღიმიდა ღრმად განვლო.
გოგისა ძილისაგან თვალები თავისთავად ეხუტე-
ბოდა.

ერთი-ორჯერ ჩასთვლიდა კიდევ. როგორც კი
თავს ჩაქინდრავდა და ცხვირს მუხლის თავზე და-
ჰკრავდა, შეშინებული თვალებს დააჭყეტდა
ხოლმე.

ბოლოს ჩაემინა და უცებ ძილში ფეხის ხმა შე-
მოესმა.

— მგელი, მგელიო! — წამოიძახა შეშინებულ-
მა, წამოხტა და ანგარიშმიუცემლად გაიქცა.

თავქუდმოვლელი გარბოდა, მაგრამ რას გარ-
ბოდა! არც ბუჩქებს, არც ხის ტოტებს — არა-
ფერს ერიდებოდა.

უცხად მგელი კბილებით ფეხებში სწვდა...

— მიშველეთ! — შეპყვილა გოგამი, — მიშველეთ, მეგლე შეგმა... —

— მე ვარ ბიჭო, რა იყო, რას გარბიხარ! — მიამახა დათუამ და გულთანად გადაიხარხარა.

გოგას გაჩერებით ასე ადვილად რა გააჩერებდა, გახედვით კი ფრთხილად ვაინება უკან და ისეთი რამ დაინახა, რასაც არასოდეს არ იფიქრებდა. რა დაინახა? აბა, ვინ არის ყოჩაღი, რომ გამოიცნოს?

თურმე ნუ იტყვივთ, მეგლე კი არა. შარვალზე კვრინჩხის ტოტი გამოსდებოდა და ის მისდევდა. უკ, ოღონდ გოგას ასეთი სირცხვილი არ ექამა და განა ის არ ერჩია მართლა მეგლე გამოჰკვიდებოდა?

რა თქმა უნდა, გოგამ უტბად დაამუხრუტა და ამხანაგებისაკენ შებრუნდა.

— ერიპა, ეს რა ზოგეჩვენა! — ამბობდა სიცილით კოცინთან გაჩერებული დათუა. — ბუჩქებში მე ფიჩხაბთვის გავედი, შენ კი მეგლად ჩამთვალე?

— მაშ, მაშ, ეს რა მშიშარა ვინმე ყოფილა! — იღრიტებოდა მუხლისთავებზე წამომდგარი ზაქრო, — მაგან რომ დაიყვირა, ცის ქუხილი მეგონა. ახლა როგორ გარბოდა! ფეხს მიწაზე ისე ძლიერად არტყამდა, ალბათ, აბასთუმნის ობსერვატორიამ ზედმიწევნით მიწისძვრა აღნიშნა.

ზაქრომ ხმაშალა გაიცინა — ეტყობოდა, თვითონვე მოსწონდა თავისი ენამახვილობა.

ირიყუა... ცისკარმა ოდნავ გაანათა თუ არა აღმისავლეთი, ბავშვებმა იქვე ხეებში ჩაირიხნეს, წყაროზე პირი დაიბანეს, ცრტა პური და ყველი შეჰკამეს და გაზას გაულდნენ.

9. შრთადაცხანამებული ქორი

როგორც დათუა მეგობრებს არწმუნებდა, ისინი ზედ იმ ალაგას იყვნენ, სადაც ფრთადაცხანამებული ქორი ბუდობდა.

დათუამ მეგობრები გააფრთხილა: ბიჭებო, ყურადღებით იყავით, ხის კენწეროებზე იცქირეთ, ჩემი აზრით ფრთადაცხანამებული ქორი აქ ახლომასლო უნდა ბუდობდესო.

კიდევ კარგა ხანს იარეს პატარა მონადირეებმა, ხეებზე კვირთ კისრებზე ასტკივდათ, მაგრამ ქორის ბუდეს ვერ მიაგნეს.

უტბად ტყის თავზე, პაერში, შემზარავი შხუილი გაისმა.

შემკრთალმა მეგობრებმა ტოტებშუა გარკვევით დაინახეს ფრთადაცხანამებული ქორი, რომელიც შორიახლო მდგარ მუხის კენწეროზე ჩამოჯდა; ელანებში პატარა ჩიტი ეჭირა.

— ეს როდეს, ეს როდეს! — კინალამ გვერდები გამოაჯამა დათუას ზაქრომ.

უარყოფის ნიშნად, დათუამ ზაქროს მუჯღუგუნის წასცხა.

თვალმდებარიალებული ქორი იჯდა კენწეროზე და ქურღღვით აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქოს იმის გაგება უნდა, ხომ არავინ მითვალთვლებსო.

ცოტა ხნის შემდეგ გაშალა ფრები, ნელა გადაფრინდა მეორე მუხის კენწეროზე და ტოტებში



ჩამალულ ბუდეში ჩაჯდა. ქორის ბახალები, რომლებსაც თავი ამოყოფით და ყვითელ პირს აღებდნენ, დედას წიფვივით შეხედდნენ. დედა ქორი ლინიერი ნისკარტით გლეჯდა საბრალო ჩიქს და პატარა ხორცის ნაჭრებს ბახალებს პირში აჩრიდა.

ნანადირევის შექმას რომ მორჩნენ, დედა ქორი ამოფრინდა ბუდიდან და იმვე კენწეროზე ჩამოაჯდა.

— ეს როდეს, რაღას ელოდები, ეს როდეს! — მოსველებს არ აძლევდნენ ამხანაგები დათუას, რომელიც ჩახმახწყენებულ თოფს ქორს უმიზნებდა. თოფის ხმა ქუხილივით გაიჭრა ტყეში.

გოგამ ვერაფერი დაინახა, რადგან, როცა დათუა თოფს უმიზნებდა, თვალები დახუჭა და ყურებში თითები დაიცო. თვალები რომ გაახილა, ქორი აღარ იჯდა კენწეროზე.

— ბელია ყველაფერი, ბედი! — ამბობდა დათუა. — ასეთ მანძილზე ჩიტი არ ვაღამირჩება, ქორს კი ავაცდინე.

— რა გვეშველება ახლა?! — იკითხა ზაქრომ.

— უნდა ცოტა მოუყვარალოთ, — თქვა დათუამ და უშლად დაუმატა: — თუმცა, რამდენიც არ უნდა გელოდოთ, აღარაფერი გამოგვევა. მტაცებლებიდან ქორზე ეშმაკი და ფრთხილი ფრინველი მეორე არ არის!

— მიოდ, ბარტყები დავუხოცოთ. — წაილაპარაკა ზაქრომ.

დათუამ არაფერი უბასუხა. თოფის კონდახს ნელა ირტყამდა ფეხზე და ქორის ბუდისათვის თვალს გაშტერებინა, თითქოს რაღაცას იგონებდა.

— ყველაფერს ისა სჯობია, — თქვა ბოლოს მან, — ბახალები ჩამოგსხათ, ფეხებზე თოკი გამოვებათ და სადმე ტყისპირას დავებათ. ჩვენ შორიახლო ჩნებაფრდეთ, ქორი რომ ბარტყებს ამ ყოფაში ნახავს, უსათუოდ მოფრინდება მათთან.



მაშინ კი, ბახს და გაგორდება ქორი. ხეზე მე ავალ, გაიგეთ?

დათუამ თოფი გოგისა დადსცა, ფეხთ გაიხადა და სწრაფად აცოცდა მუხანზე.

ტყის თავზე ღროღადრო ისმოდა ქორის ღონიერი ფრთების შესული და მისი შემზარავი ყივილი.

დათუა მონგრეხებულად აცოცდა უქანასკნელ ტოტზე და ბუდეს ზევიდან მოექცა. ბუდეში ვირთავის ტოლა ორი, ჯერ ისევ გინგლიანი ბახალა იჯდა; ფართოდ აღებდნენ პირს და წიფივებდნენ. დათუამ ფაციფუციტ ჩახსა ბახალები ზურგჩანთაში და უმაღ დაბლა დაეშვა.

როცა დათუა ბუდეს მოსცილდა, დაფეთებული ქორი ისარივით დაეცო ბუდეში; ბარტყები რომ აღარ დახვდა, ერთი საშინლად შეჭყვივლა და მძიმე ქეასავით ჩამოვარდა დაბლა.

დათუა ის იყო მუხიდან ძირს ჩახტა, რომ აფხორილი ქორი, რომელიც ყვითელ გადმოკარკულულ თვალებს შემზარავად ახრიალებდა, თავზე დააცხრა და სხვილით მკერდში ჩააფრინდა.

გამაგებული ქორი ბასრი ბრტყალეობით დათუას პირსახე უკაწრავდა, ღონიერ ფრთებს თვალეებში ურტყამდა, ნისკარტით თავს უქორტნიდა, მაგრამ დათუასაც ხელები გულზე არ ჰქონდა დაკრეფილი. იგი ცალი ხელით ბარკალში სწვდა მტაცებელს, მეორეს კი გამეტებით ურტყამდა.

უტბად დათუამ ორივე ხელი ყელში ჩააგლო ქორს და ღონიერად მოექურა.

გაავდა ქორი. ღონიერად ჩაუჭირა დათუას ბასრი კლანჭები, მაგრამ მის კლანჭებზე უფრო ღონიერი გამოდგა დათუას მკლავები. დათუა რკინის მარწუნებოვით უტყერდა თითებს სასიკვდილოდ განწირულ ქორს. კიდეც ერთხელ შეიფრთხილა სულშეხუთულმა ქორმა, მერე კი ჩამოუცივდა მძლავრი ფრთები და თვალეები სამუდამოდ დაუხუნელა.

ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. გოგია და ზაქრო ამ მოულოდნელმა და საზარელმა სანახაობამ მთლად დაახნია. იდგნენ ერთ ალაგას და არ იცოდნენ რაგორ მოქცეულიყვნენ. როცა ისინი ამხანაგთან მიცივიდნენ, დათუამ დამხრჩვავი ქორი ძირს დაანარცხა და თავში ფეხი ჩასცხო ღონიერად. ქორს დათუასათვის ხალათი შემოეხია და სახე მთლად დევკაწრა, ხოლო კისერზე ღრმა ჭრიალმა მიეყენებინა.

ზაქრომ თავის პერანგს კალთის ნაჭერი მოახსია, და ამხანაგებმა დათუას კისერი შეუხვიეს.

მეგობრებმა გადაწყვიტეს მოკლული ქორი სოფელში წაეღოთ და მისგან საფრთხობელა გაეკეთებინათ.

როცა მოსალამოვდა, ბებია მძროხა და მძროხა ფეხი დაახთანავა, ჩამოჯდა ქიშკართან სკამზე და დაუწყაო შვილიშვილს ლოდინი. ვიღამ არ ჩაუტა ბებიას გვერდით, ვინ არ უსურეა საღამომშვიდობისა, მაგრამ არ იქნა და არ გამოჩნდა მის გამხარებელი გოგია.

ბებია წუთი-წუთზე ელოდა შვილიშვილს. ჯერ ახლომასლო მუხობლებს ბავშვებს მიაკითხა, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა, ყველა იმას ეუბნებოდა, დღეს გოგია თვალთ არ გვიჩანას. გულგახეთქილი ბებია კარდაკარ დადიოდა. ბებია დათუასათსა მივიდა. სახლში მხოლოდ პაპამისი დახვდა.

როცა ბებია მოსვლის მიზეზი განაცხადა, პაპამისო ხელისჩაქნევით მიუგო:

— გულთან დარდი არ გაიკაო, პელა, ალბათ ბიჭები ტყეში გაერთნენ და ვერ გამოზომეს, რომ თვალნათლევ მოსულიყვნენ სახლში. ასე იცის ნადირობამ, მაშ!

— ამას რას ამბობ, მიხო, განა ბავშვები ტყეში წავიდნენ?


— ტყეში წავიდნენ, მაშ! იმიტომ კი არ ვახოხვე თოფი, რომ სახლის სახურავებზე ჩიტებს სდიონ. მეტი არა მინდა რა, ფრთადაცხავებულ ქორს ნუ მოკლავენ და მერე მე ვიცი! ხვალევ წავალ, იმათაც თან წავიასამ და ვაჩვენებ, თუ როგორ უნდა ნადირობა, მაშ!

პაპამისოს ალბათ უნდოდა მოხუცი პელა დაემშვიდებინა, მაგრამ მისმა სიტყვებმა უფრო შეაშფოთა ბებია. პაპამისოს გამოემშვიდობა და სოფლის გზაზე გავიდა.

ბნელი ღამე იყო. სოფელი იძინებდა. აქა-იქლა მოჩანდა ფანჯრებიდან შუქი. ბებია აჩქარებით მიდიოდა შინისაკენ და ფიქრობდა, იქნებ ბავშვები დაბარუნდნენ ტყიდან, ახლა გოგია სახლშია უყევ, მე კი კარდაკარ ტყეშილად დავდივარო. მაგრამ, როცა თავისი სახლის ჩაზნელებული ფანჯრები დაინახა, ეს იმედიც დაეკარგა. ბებია შევიდა სახლში, ანთო შუქი და ისევ გარეთ გამოვიდა. ერთ ხანს ეზოში დადიოდა, მერე ქიშკართან დადგმულ სკამზე ჩამოჯდა. ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ მოხუცი ათ ნაბიჯზე ვერაფერს ხედავდა. სამაგიეროდ სმენა ჰქონდა გამახვილებული და შეუმჩნეველი არ რჩებოდა არც ძროხის ცოხნა, არც ღამის მწერების ფაჩუნნი, არც შორს, ტყეში ჭოტის კვილი...


რა ხანია ბნელი ზეწარი გაირღვა და დედამიწის შუქი მოჰფინა მთების იქიდან ამოცურებულმა მთვარემ. გაჩუმდა სოფლის მოედანზე გამოკიდული რადიო და სოფელმა მიიძინა. ბებია კი ისევ მოკუნტული იჯდა სკამზე და თვალეები უწყალდებოდა სოფლის გზაზე ცქერით.

რას გვპირდებიან ჩვენი მწერლები



„ეურნალ „პიონერის“ რედაქციამ თხოვნით მიმართა გამოჩენილ საბავშვო მწერლებს, გაუსაზრებინათ ჩვენთვის თავიანთი შემოქმედებითი განზრახვები. მწერლები სიახლოვებით გამოეხსენებოდნენ რედაქციას და მიამდინარე წილს იანერის ნომერში, ალბათ, თქვენ შუაგულშიც გრავირებული აბაშისის, ირაკლი აბაშისის, იოსებ გრიშაშვილის, აკაკი ბელიაშვილის, მაყაიალ მრეველიშვილის, მისხილ მრეველიშვილის, ნინო წაკაშვილის, ლეო ქაჩელის და გიორგი შატერაშვილის წერილები.

ბავშვებო, ამ ნომერში ებეჭდათ მარიჯან ალექსიძის, სერგო კლდიაშვილის, იოსებ ნონეშვილის და ალცო შენგელას წერილებს. წინასწარ მაღლობა მოცხატეთო მათი დამედიე ექვანიით, რომ დაპირებები შესრულდება.



რაც წლები მემბეტება, მით უფრო ვიჩქარი მოვასწრო იმის თქმა, რაც მინდა თქვენ მთელი გულით გაგიზიაროთ.

მწერლისათვის განსაკუთრებით ახლობელია მისი მკითხველი, წილს ჩემს პატარა მკითხველებს მივაწოდებ საბავშვო ლექსების კრებული „წლიდან წლამდე“.

შარშან დაიბეჭდა მოთხრობა „გელა“ სახელოსნო სკოლის თემაზე. ამ უამად ვმუშაობ მეორე წიგნზე — „გელას დღიური“. ვფიქრობ წილის ბოლომდე შევძლებ მის დასრულებას. გამსადებული მაქვს ახალი მოთხრობების კრებული „ჩვენი ენოს ბავშვები“. ამ კრებულში შედის ბევრი ისეთი მოთხრობა, რომელიც ჩემთვის მავშეებს უშუალოდ შთაუგონებიათ. ველები ეს წელი ნაყოფიერად გამოვიყენო.

ბარიჯან ალექსიძე

1956 წელს გადავეცი ეურნალ „პიონერის“ რედაქციას მოთხრობას, რომელიც ეხება ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის შრომის და ცხოვრე-

ბას. შევიცდები მოთხრობა ხალხიანი საკითხავი იქნეს.

თუ სხვა საბავშვო ხელი არ შემოშალა, შესაძლოა, აგრეთვე, წილს გამოვაქვეყნო „ლახუნდარლის თავადისადასადის“ მეორე წიგნი. შავად ის დამთავრებული მაქვს, მაგრამ თქვენთვის ყურა ხომ, ყველაზე საუფარულო პატარა მეგობრებო, მეტად საპატიო და სადასახისმგებლო საქმეა და ამიტომ, სანამ მოთხრობას ისე არ დავამუშავებ, რომ თქვენი მოწონების სრული იმედი არ მექნება, მანამდე ვერ გაუბედავ მის დაბეჭდავას.

სამრო კლდიაშვილი

წელს ვიმოგზაურე ჩეხოსლოვაკიაში. გულდასმით შევისწავლე ჩეხოსლოვაკიელი ბავშვების ცხოვრება. განზრახული მაქვს მათი ცხოვრება თქვენც გაგაცნოთ ჩემი ახალი ლექსებითა და ნარკვევით.

განავარძობ მუშაობას პომეხე „ჩრდილოეთის რძალი“. პომეა შეხებდა ლექსანდრე გრიზობრევისა და ნინო ქვაქაიას — რუსი და ქართული ხალხის დიად მეგობრობას.

გისურვებთ წარმატებას სწავლასა და პიონერულ მუშაობაში. თქვენი წარმატება ჩემი წარმატებაც არის, რადგან თქვენა ხართ ჩემი ლექსების წყაროსთვის და შთაგონება.

იოსებ ნონეშვილი

გასულ წელს გამოვიდა ჩემი საბავშვო ლექსების წიგნი, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ეურნალ „პიონერის“ მკითხველებისათვის ცუდად ვიქნებოდა. სულ ერთი-ორი ლექსი გამოვაქვეყნე ეურნალში.

1956 წელს ვფიქრობ მეტი გაავაქეთო თქვენთვის, ჩემი მეგობრებო. ნინა და ახალი საბავშვო ლექსები დაეწერო სკოლაზე, პიონერთა საზაფხულო დასვენებაზე, სამშობლო ქვეყნის ბუნებაზე. განზრახული მაქვს დავეწერო საბავშვო პომეა მეგობრობაზე, რომელსაც წელს დავამთავრებ და ვეცდები წელსვე გამოვაქვეყნო.

მართალი გითხრათ, ჩემი მუშაობა დიდად არის თქვენზე დამოკიდებული; რასაც მეტს გავაგებ თქვენს კარგ სწავლაზე, კარგ ყოფაქცევაზე, იმდენად გამაზრებთ, სისარული კი სიმღერის დედაა.

ალექო ზინბელი



ბარიჯან ალექსიძე



სამრო კლდიაშვილი



იოსებ ნონეშვილი



ალექო ზინბელი



ბრიზოლ იხელაკე

ნახ. რ. ცუცქერიძისა

ჩ ვ ა მ ი

ჩემი ჩაგრული
ფრინველი არი,
რა ცხოვრება მისი!
ჩემს არ ახარებს
მზიანი დარი,
არც ღრუბელი და ნისლი.

ერთ დროს ნავარდით
აბობდა ზეცას,
მისდ მიაჩნდა თალი,
ტოლს არ უღებდა
თეთრგულა მერცხალს,
იყო მარადის ლალი;

მაგრამ გაუხდა
მტრად ძი-ლა ჩენი,
კეთილი გლეხი ძი-ლა.
ველარ აუშვა
სალაოდ ფრთენი
შავდ დაუდგა დილა;

ველარ გაეკრა
ლაყვარდებს ერქნად,
თერ გაღვიწროლა ქალა...
ახლა ძი-ლა ჩენს
რა უნდა ექნა,
ჩრენა ხომ უნდა ჯალაბს...

ჩემი მეუბეზე
ფრინველი არი,
თევზებით ცხოვრობს იგი;
მდინარეზე აქვს
ყოველთვის თვალი,
სხვას არა ხედავს ირგვლივ.

მაგრამ ძი-ლა ჩენს
რად უნდა ნეტავ,
თევზჭერია ჩემი?!

ამ ჩენს ჩოფურა
ძი-ლა ჩენს ხედავთ,
თურმე არ არის ხამა!...

ჩემს ყელზე რგოლი
შეაბა თოკის,
არც აგრძნობინა თითქმის...
გლეხი მის გაწრთენას
მორჩება როდის, —
ღღეებს თითებზე ითვის.

და აი, ჩემი
ჩაეშვა წყალში,
ამათორია სიგი...
მაგრამ გაწყურა და
გაევირდა მამინ,
რომ ვერ ჩაყლაბა იგი.

მოფრინდა ნავზე,
წვალობს, სულს დაფავს,
მაინც პირში აქვს თევზი.
მაგრამ არ იქნა,
ვიერ გადაყლაბა;
თუმცა ეცადა ბევრგზის.

ყელს იგრძელებდა,
ღასწყველა წამით
რგოლად შებმული თოკი.
ამ თოკის ნაცვლად,
ვაჯეროდეთ, ჩემი
ოფრო აიტანა ბორკილს.

რა უნდა ექნა!
და ბოლოს ისევ
ნავში ჩაადგო სიგი
და გადაეშვა
ნავარდით მყისვე
სხვა თევზისათვის იგი.

ასე დაგეშა
და შეიჩვია,
საბრალო ჩემი ძი-ლა.
ახლა პატარებს
ალბა შიათ,
ძი-ლაც დღინებს ტკილად.

მისი მრჩენელი
გამხდარა ჩემი,
ჩემი უპოვის ლუქმს.
ჩემი უბადლო
მეუბეზე არის,
დავლით ბრუნდება უკან.

წყალზე როდესაც
გაინავარდებს,
განა სჭირდება წამი,
მასთან შერცხვება
სუყველა ბადე,
თუ კი ჩაყვითავს ჩემი.

ფრინველია თუ
ბაჯადლო თქრო,
ლარბის ის აძლევს საშველს.
თევზს ამოიყვანს
და მეჩრე როგორს
მთელ დღეს ეყოფა ბავშვებს!

მაგრამ ცოდოა
ჩაგრული ჩემი,
ლუქმა არ ჩადის ყელში.
დგაფუნა თევზი
თუ სადმე არი
უნდა აილოს გემი;

უნდა ძი-ლა ჩენს
ძიართვის უშალ, —
მრჩენელი არი მისი.
რად არ ებრაღვის
გლეხს ჩემი სულაც,
არ არის ამის ღირსი!

ჩემი უჭმელად
ხომ ველარ გაძლებს,
ძი-ლა მისთვის თევზს კეპავს.
ხშირად ჯალაბის
ნასუფრალს აძლევს,
ხან წვრილი თევზით კეპავს.


ჩემი მოწყალე
ფრინველი გახლავით,
როგორ დათმობდა ძი-ლა.
ვიღრე მონობის
ყინვა არ ვალხვავა,
და არ გაბრწყინდა დილა....

მამინ სხივებმა
გაჰფანტეს ბური,
ამოგვრილდა ქარი,
მხესავით დადგა
მაო ძე-დუნნი
და ხალხს ეღირსა დარი,

აწ ძი-ლა ჩენსაც
მოუხმეს ქვეყნად,
განდა კაცური კაცი.
აწ აღარ წყველის
გაჩენის ბედსა,
ღარც სახე აქვს მკაცრი.

ჩეამსაც შეახსნა
ქერელის თოკი,
ისევ იფრინოს ლოლად.
ვერ დაადებენ
აწ ყელზე ბორკილს,
შეთამაშოს ტალღას.

ჩემს აღარა აქვს
ღარდი მცირედო,
მშვიდად ნაგარდობს ახლა.
ჩემი კი არა,
მთელი ჩინეთი
თავისუფალი გახდა.



რ ა ვ ი კ ი თ ხ ო თ

„კომონი გორის ციხესთან“

პიონერებს გორის ციხესთან კო-
ცონი დაუნთიათ. ბავშვები გარს შე-
ნოსხლდომიან კოცონს. პიონერებს
შორის ზის ძველი ბოლშევიკი, რო-
მელსაც სტალინთან ერთად ცარი-
ცინში უბრძოლია. ბავშვები სმენად
გადაქცეულან:

„ღღღით უცემთ
პიონერებს გულები
და უსმენენ
მას სულგანაბულები,
კოცონი კი
ჩახახახებს და გიზგიზებს
ვით სიცოცხლე,
სიხარული ულავი.“

პიონერულ ცხოვრებას დამახასია-
თებლად ასახავს ეს ლექსი, რომელ-
საც „კოცონი გორის ციხესთან“
ქვია. იგივე სათაური უწოდებია
პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილს სა-
ბავშვო ლექსების წიგნისათვის, რო-
მელიც ამას წინათ გამოცდა „საბ-
ლიტაგამა“.

წიგნში თქვენ ბევრ საინტერესო
ნაწარმოებს წაიკითხავთ. აქ ლაპარა-
კია მოსკოვზე, მის სიღიადზე; მოს-
კოველ პიონერებთან გაგზავნილ ბა-
რათზე, რომელშიც ქართველი პიო-
ნერები მოსკოველ მეგობრებს თა-
ვიან შრომაზე და ცხოვრებაზე ესე-
უბრებიან. გორელი ბავშვები ფხე-
ნისწიწი წერილს გზავნიან და კორეულ
ბავშვებს გულწრფელ მეგობრულ
გრძნობას უმეტავენ. მათ შორის
მანძილი დიდია, მაგრამ სიყვარული
აახლოვებთ მათ:

„ჩემი გორიდან შორია
შენი მშობელი კორეა,
ო, განა მართლა შორია!..“

წიგნში შეტანილი ბევრი ლექსი
ბავშვებს კარგად აცნობს პიონერულ
და კომკავშირულ ცხოვრებას, აუკ-
ვრებს შრომას, გარჯას; უწერავს
სიყვარულს სამშობლოსადმი; ასეთი
ლექსებია: „მფრინავი“, „მეშვეაუ-
რის ვაჟიშვილი“, „ღღღს ხმა მის-
ცეს“, „მოდის ახალი პური“ და სხვა
მრავალი.

ბავშვებისათვის ცნობილი ენით
აცოცხლებს პოეტი ომისდროინდელ
ამბებს. ზოგი ნორჩი მკითხველი სამა-
მული ომის დროს გაჩენილი არც კი
იყო, ზოგს კი მაშინ გაგების უნარი
ჯერ არ შესწავდა. ამ წიგნში შეტა-
ნილი შესაბამისი ლექსები მკითხ-
ველს სწორ წარმოდგენას აძლევს ამ
ისტორიულ მოვლენაზე და მას სამ-



კომონი
გორის ციხესთან
1919 წლისგაზაფხული

შობლობისთვის თავდადების სული-
სკვითებას უწერავს. ამ თემაზე და-
წერილი ლექსებიდან გამოირჩევა
„გამომშვიდობება პატარა ძმასთან“,
„წერილი შოთა-ბიქს ფრონტთან“,
„ზოია კოსმოდეშინასკია“, „კომკავ-
შირელი“, „სიმღერა ყელსახვევით
ბიჭუნაზე“.

ლექსების ერთ ნაწილში გაიცხუ-
ლია შურიანობა, ბუტიობა, მარხუბ-
რობა. ეს ლექსები ბავშვებს უწერ-
ავს მეგობრობისა და ამხანაგობის
გრძნობას, მრავალდებს მათ წესიერ-
ბისაკენ. ამ მხრივ გამოირჩევა „მიზე-
ზიანი გოგო“, „ასე როგორ იქნება“
და სხვ.

ბევრ ლექსში პოეტი ბავშვებს სიყ-
ვარულს უწერავს მშობლიური კო-
მუნისტური პარტიისადმი.

ინტერესთი იკითხება პოემები:
„როსკისანი“, „სამგორში“ და „შაქ-
რო“.

ამ წიგნში ბავშვები ბევრ სასარ-
გებლოს წაიკითხავენ, მათი ცოდნა
შეივსება, მრავალფეროვანი გახდება.
ეს ლექსები ბავშვებს კიდევ უფრო
შეაუყარებენ ჩვენს დიდ საწმობ-
ლოს, კომუნისტურ მშენებელ ჩვენს
ხალხს, კომუნისტურ პარტიას. ისინი
ხელს შეუწყობენ კარგი მოქალაქე-
ების აღზრდას.

ბრიტულ კვანძილავშილი



თავისუფლების დიდი მომღვაწელი

ასი წელი გავიდა ჰაინეს გარდაცვალებიდან. 1956 წელს გერმანიაში „ჰაინეს წელი“ უწოდეს, ისე დიდია ხალხის სიყვარული თავისი სახელოვანი შედეგისადმი. მაგრამ ყველას როდი უყვარდა ჰაინე, ძნელია მოიხებნოს ქვეყნად მეორე პოეტი, რომლის სახელის გარშემოც იმდენი ბრძოლა ყოფილიყო, რამდენიც გაიმართა ჰაინეს გარშემო. პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, რეპრესიონერები მას ეძახდნენ უტიფარს, საშრობლოს მოვალეს, ყოველნაირად უტახდნენ სახელს და ზოგჯერ არც კი თვლიდნენ პოეტად. ამისი მიზეზი ნათელია. ჰაინე იყო გრძობიერი ლიბერალის და იმავე დროს დაუღწეობელი სატირალის. თავისი შეუზღავარი ბრძოლით გერმანიის მეფეებისა და მათი შავი ძალების წინააღმდეგ ჰაინემ მალე მოიხვევა ხალხის ქომაგის, მებრძოლი ახალგაზრდობის პუტის სახელი, და იმავე დროს ბნელთვის მოციქულების — მეფეების, მინისტრების, მღვდლებისა და ოფიცრების სიძულელი.



ჰაინე დაიბადა მშვენიერ ქალაქ დუსელდორფში (დასავლეთ გერმანია) 1797 წლის 13 დეკემბერს. ეს რიცხვი პოეტმა ხუმრობით ვადაკეთა 31 დეკემბრად და განაცხადა — მეცტარამეტე საუკუნის პირველი მოქალაქე მე ვიყავიო. ამაში ის გულისხმობდა თავისი პოეზიის სიახლეს, მებრძოლ ხასიათს.

ჰაინეს დედა განათლებული ქალი იყო, იცოდა ფრანგული და ინგლისური ენები, უყვარდა ლიტერატურა, ბევრს ზრუნავდა შეიღობის განათლებაზე და მუსიკის მასწავლებელსაც კი დაუქირავა მათ, მაგრამ „სიმღერების წიგნის“ ავტორმა ვერასოდეს ვერ ისწავლა სიმღერა, ცეკვა და საგაერო საქმე, რისთვისაც აწააღმდინენ მშობლები. სამაგიეროდ აღტაცებით ისმენდა დედის ოთხრობოდ ამბებს და ადვილად ისწავლა ასობე, რომელთაც დედა ბუნების კედელზე ცარცით უწერდა.

ათი წლის ჰაინე დუსელდორფის ლიცეიში მიიპარეს. ლიცეის დამთავრების შემდეგ პარია მალე გაგზავნეს ჰამბურგში მილიონერ ბიასთან, სოლომონთან, რომელიც საბედლოდ ეხმარებოდა. სულ ხელდასხვა მიდრეკილებების ბიძამისშვილს შორის მუდამ უთანხმოება იყო. სოლომონი ამბობდა: არა ყმაწვილს რომ რაიმე ხელობა ესწავლა, ლექსების წერა არ დასჭირდებაო. პოეტი კი მდიდარ ბიძას ეუბნებოდა: შენში ყველაზე კარგი ის არის, რომ ჩემს ვეპარს ატარებო.

ჰამბურგში ჰაინე პირველად აშკარად შეეგება მოხელეებსა და ვაჭრებს, რომელთაც სიგარები აქეთ პირში გაჩრილი, ჯიბეში შვიდად ითხოვენ ხელეებს, ყველაფერს ნთქავენ და ინულებენ, მაგრამ მათ თვითონ ვინ მოინდობენ?

ჰამბურგიდან ჰაინე მამას სწერდა: „ბანკირო ვერ გავხდები, თუნდაც იმით, რომ ბანკიროს სამეფო ადრე თუ გვიან დაინგრევია“. ამას სოლომონიც კარგად გრძნობდა. და მეამბოხე მძისშვილი თავიდან მოცივდა: უნივერსიტეტში გავზავნა იმ პირობით, რომ ადვოკატი გამოსულიყო. ჰაინე სწავლობდა ზონის, დიდიგენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. მაგრამ იურიდიული მეცნიერების დოქტორმა ჰაინემ სულ სხვაგზა აირჩია და გამოუშვა „სიმღერების წიგნი“ — ლექსები, რომელთაც მას მხოლოდის ერთ-ერთი უღედესი ლირიკოსის სახელი მოუხვევებ. მათში, დიდი პირადი ტანჯვის გარდა, პოეტმა ასახა თავისი დრამა უწყალოდობა არსებული უკუღმართობით. მან ფხიზელი გონებით შენიშნა, რომ ქვეყანა

გაყოფილია მუქა მქოთახორებად და პატიოსან მშრომელთა მილიონებად, რომელთაც ეკუთვნის მომავალი.

31 წლის პოეტი 1830 წელს მიდის პარიზში, სადაც ამ წელს რევოლუცია მოხდა. პარიზში დარჩა ის სკივლილმადე. იქვე განაგრძობდა ბრძოლას ყველა ხალხს მჩაგვრელთა წინააღმდეგ. იქვე დაუშვებობდა მუშათა კლასის დიდ ბელადებს — მარქსსა და ენგელსს. ამ შეგვარობამ მეტი საბრძოლო ცეცხლი შეიტანა ჰაინეს შემოქმედებაში. იმ ხანებში დაწერა ცნობილი რევოლუციური ლექსები: „ენგელსისა“, „დოქტრინა“, „ჰომინი“ და სხვა. პოეტი „გერმანიაში“ მას მწაუხარებელი მათარსი ვადასჯა დაქუცმაცებულ გერმანიის მეფეებს.

1848 წლის მაისში ჰაინე უქანსკნელად გავიდა ქუჩაში. მძიმედ დაავადებული, თითქმის ჩონჩხად ცეცხლი პოეტი შინ კოქლობით დაბრუნდა, დაწვა და რვა წელი გაატარა „ლიბის საფლავში“, როგორც ეძახდა თავის ლოცვის. 1856 წლის 17 თებერვალს გათენების წინ, სამუდამოდ დასუქნა ხეობად ბრძანებული თვალები.

ასე ვანდენვლიობაში დალია სული გერმანელი ხალხის ამ დიდმა შვილმა.

მაგრამ დიდმა მეოსანმა ხალხის გულში იპოვნა საშუალო ბიძა. დღეს ყოველი კეთილი ნების ადამიანისათვის ძვირფასია ჰაინე, რომელიც იბრძოდა ძალმომრეობის, ტორანის წინააღმდეგ, იბრძოდა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, თავის სამშობლოს გუერთიანებისათვის. ამის გამო არ უყვართ ის დღემდე დასავლეთ გერმანიის რეპრესიულ ძალებს. მისი ძეგლი ჰამბურგში ჯერ კიდევ პიტღობის ბრძანებით ყუბმარებად ვადადნეს, მაგრამ ეს ყუბმარები მათვე მოხვდნენ გულში, როგორც ხვდებოდათ ასი წლის წინათ ჰაინეს სატირა. დღეს ჰაინეს სახელი დუსელდორფში უპატრონოდა მიტოვებული, იქვე ბაღში ძეგლი დაქუცულობა, ხოლო ჰამბურგშია მდიდრებმა პოეტის ძეგლისათვის ერთი ნაჩრავი არ გააშენეს.

